



ანარბთე სეჭართველოში

წლიური ანგარიში

2020

შინაარსი


| | | |
|--|--|-----------|
| | ჩვენ შესახებ | 3 |
| სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ – მენარმეობის ხელშეწყობა | | 4 |
| | ინდუსტრიული მიმართულება | |
| | სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება | |
| | მივრო და მცირე გრანტები | |
| | საკრედიტო-საგარანტიო სქემა | |
| მსოფლიოში არსებული პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად შექმნილი დროებითი პროგრამები | | 19 |
| | იპოთეკური სესხების სუბსიდირება | |
| | მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმროები | |
| | IATA-ს აკრედიტაციის მქონე და გენერალური გაყიდვების აგენტი კომპანიების გარანტიის საზღაურის სუბსიდირება. | |
| | ღონისძიების ორგანიზატორთა სესხის პროცენტის სუბსიდირება | |
| | სარესტორნო ინდუსტრიის სესხის პროცენტის სუბსიდირება | |
| სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ – ექსპორტის მიმართულება | | 22 |
| | საერთაშორისო გამოფენები | |
| | საერთაშორისო აღიარება: WTPO Award 2020 | |
| | ექსპორტის მხარდამჭერი ადგილობრივი პროექტები: | |
| სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ – ინვესტიციების მიმართულება | | 28 |
| | მომსახურების ცენტრი | 33 |
| | დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა | 36 |
| | დანართი 1 | 42 |

ჩვენ შესახებ

სსიპ „ანარმეთ საქართველოში“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში სამენარმეთ გარემოს გაუმჯობესება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და მათი საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

მისია: მენარმეთობის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ – მენარმეობის ხელშეწყობა



2020 წელს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე, ეკონომიკის წინაშე არსებული ახალი გამოწვევების საპასუხოდ გაფართოვდა მენარმეობის ხელშეწყობის მიმართულებით ბიზნესის მხარდაჭერის არსებული პროგრამები. კერძოდ, გაფართოვდა წარმოების და სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით არსებული პროცენტის სუბსიდირების სქემა, შეიცვალა საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის დიზაინი, გამოცხადდა მიკრო გრანტების კონკურსის ახალი ეტაპი გაზრდილი დაფინანსებითა და მოცვით. ამასთან ერთად, შემუშავდა ბიზნესის ხელშეწყობის დამატებითი ეფექტური მექანიზმები, კერძოდ ტურიზმის, სარესტორნო ინდუსტრიის, ღონისძიების ორგანიზატორების და სამშენებლო სექტორის მიმართულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წელს სააგენტოს ბიუჯეტი 57.5 მლნ ლარიდან 477 მლნ ლარამდე გაიზარდა.

ინდუსტრიული მიმართულება



2014 წლიდან პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს ინდუსტრიული მიმართულება წარმოადგენს. მისი მიზანია ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის გზით საქართველოში მენარმეების მხარდაჭერა და სამენარმეო კულტურის განვითარება. პროგრამა გულისხმობს კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას. გარდა ამისა, ინდუსტრიული მიმართულება მოიცავს ტექნიკური დახმარების კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარს უნაზღაურდება საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებაზე განეული ხარჯი დადგენილი ლიმიტის საზღვრებში. 2020 წელს, მსოფლიოში არსებული პანდემიის საპასუხოდ, მენარმეებისთვის გაუმჯობესებული პირობების მიწოდების მიზნით, პროგრამის დიზაინში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც, ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთს დამატებული, შესაბამისად, 3% და 5%. ასევე, თანადაფინანსების პერიოდი გაიზარდა 24-დან 36 თვემდე. პროგრამის ფარგლებში დასაშვები სესხის ოდენობა და ლიზინგის საგნის ღირებულება კი გაიზარდა 5-დან 10 მლნ ლარამდე. აღნიშნული ცვლილებები ძალაში დარჩება 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.



5 აწარმოე საქართველოში წლიური ანგარიში





ინდუსტრიული მიმართულების შედეგები

2020



ინდუსტრიული მიმართულების შედეგები

2014-2020



2014 წლიდან დღემდე საწარმო პროექტებთან დაკავშირებით 539 ხელშეკრულება გაფორმდა, აღნიშნული ხელშეკრულებებიდან 405 უნიკალური ბენეფიციარია. პროექტებზე ხელშეკრულების ფარგლებში დამტკიცებული სესხის მოცულობა 676.8 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ინვესტიცია 1.060 მილიარდ ლარს აჭარბებს. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 17000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ინდუსტრიული მიმართულებით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 33.3%-ით გაიზარდა, სავარაუდო ჯამური ინვესტიციის მოცულობა და კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა კი შესაბამისად 67.9% და 68.8%-ით.

ინდუსტრიული მიმართულებით 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები რეგიონულ ქრედიში

| რეგიონი | პროექტების რაოდენობა | სესხის მოცულობა (მლნ) | ინვესტიცია (მლნ) | დასაქმება |
|------------------------|----------------------|-----------------------|------------------|--------------|
| თბილისი | 74 | 76.3 | 145.4 | 1572 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 12 | 37.1 | 37.7 | 215 |
| ქვემო ქართლი | 12 | 33.4 | 40.8 | 3245 |
| აჭარა | 7 | 22.5 | 26.6 | 113 |
| მცხეთა-მთიანეთი | 7 | 1.8 | 2.9 | 47 |
| კახეთი | 5 | 0.8 | 1.0 | 42 |
| იმერეთი | 4 | 1.7 | 3.1 | 83 |
| შიდა ქართლი | 2 | 0.7 | 0.7 | 10 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1 | 0.2 | 0.2 | 6 |
| სულ | 124 | 174.5 | 258.4 | 5,333 |

2020 წელს ახალი ხელშეკრულება გაფორმდა 124 საწარმო პროექტთან დაკავშირებით. ამ პროექტებიდან 108 იყო საბანკო სესხის, ხოლო 16 - ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება. თბილისის (59.7%) შემდეგ პროექტების რაოდენობით აღსანიშნავია სამეგრელო-ზემო სვანეთის (9.7%) და ქვემო ქართლის (9.7%) რეგიონები.

ინდუსტრიული მიმართულებით 2020 წელს გაფორმებული
ხელშეკრულებები სექტორულ ტრიდში

| სექტორი | პროექტების რაოდენობა | სესხის მოცულობა (მლნ) | ინვესტიცია (მლნ) | დასაქმება |
|--|----------------------|-----------------------|------------------|--------------|
| ჯანდაცვის საქმიანობები | 17 | 19.9 | 30.6 | 1014 |
| ქალაქი და შეფუთვა | 16 | 17.3 | 24.5 | 148 |
| სამშენებლო მასალები | 16 | 12.7 | 54.1 | 198 |
| ლიტონები | 14 | 32.7 | 42.1 | 182 |
| საზღვაო ტევზჭარა | 11 | 36.8 | 38.0 | 161 |
| ავიაციის წარმოება | 10 | 4.2 | 6.0 | 152 |
| ტანსაცმელი და ტექსტილი | 8 | 20.8 | 28.5 | 3107 |
| რეზინის და კლასტმასის წარმოების წარმოება | 8 | 7.0 | 8.1 | 67 |
| ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება | 7 | 13.2 | 14.1 | 154 |
| საკვები და სასმელი | 4 | 1.2 | 1.7 | 52 |
| ელექტროლი მოწყობილობების წარმოება | 3 | 1.5 | 2.5 | 52 |
| მინის წარმოება | 3 | 5.9 | 6.9 | 20 |
| სხვა წარმოება | 7 | 1.3 | 1.3 | 26 |
| სულ | 124 | 174.5 | 258.4 | 5,333 |

ინდუსტრიული მიმართულებით, ყველაზე მეტი პროექტი სამ სექტორზე მოდის (39.5%): ჯანდაცვის საქმიანობები (13.7%), ქალაქი და შეფუთვა (12.9%) და სამშენებლო მასალები (12.9%). დასაქმების მხრივ ლიდერობს ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება რომელიც საშუალოდ ერთ პროექტზე 400-მდე ადამიანს ასაქმებს. ასევე, აღსანიშნავია საზღვაო ტევზჭერის მიმართულებით დაფინანსებული პროექტები, რომლებზეც ხელშეკრულების ფარგლებში დამტკიცებული სესხის მოცულობა 36.8 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ინვესტიცია 38 მილიონ ლარს აჭარბებს. პროექტების ფარგლებში შეიქმნება 161 სამუშაო ადგილი.

2020 წელს დაფინანსებული საწარმო პროექტები რეგიონულ ქრისტში

| რეგიონი | პროექტების რაოდენობა | გაცემული თანხა (მლნ) | საშუალოდ ერთ პროექტზე გაცემული თანხა (ათასი) |
|----------------------------|----------------------|----------------------|--|
| თბილისი | 124 | 10.6 | 85.2 |
| ჟვემო ქართლი | 14 | 1.8 | 126.3 |
| იმერეთი | 12 | 0.4 | 37.1 |
| მცხეთა-მთიანეთი | 9 | 0.8 | 94.8 |
| აჭარა | 7 | 0.3 | 36.7 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 6 | 0.5 | 82.3 |
| პახეთი | 5 | 0.3 | 53.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 4 | 0.1 | 25.7 |
| შიდა ქართლი | 4 | 0.4 | 102.4 |
| გურია | 3 | 0.5 | 168.3 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ჟვემო სვანეთი | 1 | 0.5 | 46.7 |
| სულ | 189 | 15.7 | 83.1 |

2020 წლის განმავლობაში სააგენტომ ინდუსტრიული მიმართულებით თანადაფინანსების სახით სულ 15.7 მილიონი ლარი გასცა 189 საწარმო პროექტზე. თბილისის (67.2%) შემდეგ, რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი თანხა ქვემო ქართლის (11.3%), მცხეთა-მთიანეთის (5.4%) და გურიის (3.2%) რეგიონებში განხორციელებულ პროექტებზე გაიცა.


საწარმო პროექტები, რომლებზეც 2020 წელს სააგენტომ თანხა გასცა, სექტორულ ქრილში

| სექტორი | პროექტების რაოდენობა | ბაცემული თანხა (მლნ) | საშუალოდ ერთ პროექტზე ბაცემული თანხა (ათასი) |
|----------------------------------|----------------------|----------------------|--|
| სამშენებლო მასალები | 49 | 4.1 | 83.9 |
| საკვები და სასმელი | 21 | 2.5 | 117.3 |
| რეზინის და პლასტმასის წარმო | 19 | 2.1 | 111.2 |
| ლითონები | 18 | 2.1 | 118.6 |
| ქალაქი და შეფუთვა | 18 | 1.5 | 85.0 |
| ავიაციის წარმოება | 12 | 0.4 | 30.4 |
| ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება | 11 | 0.3 | 27.1 |
| ტანსაცმელი და ტექსტილი | 8 | 0.5 | 65.7 |
| ბეჭდვითი წარმოება | 7 | 0.3 | 42.3 |
| პარ-ფანჯრების წარმოება | 7 | 0.8 | 96.0 |
| მინის წარმოება | 6 | 0.5 | 75.7 |
| სხვა მზა ნაპოთობების წარმოება | 4 | 0.6 | 152.7 |
| სხვა წარმოება | 9 | 0.1 | 47.9 |
| სულ | 189 | 15.7 | 83.1 |

სექტორების მიხედვით, თანადაფინანსების თანხის 26.2% გაიცა სამშენებლო მასალების სექტორში არსებულ 49 საწარმოზე. საკვების და სასმელის სექტორში 21 საწარმოზე გაიცა მთლიანად გაცემული თანხის 15.7%, ლითონების და პლასტმასის სექტორში კი შესაბამისად 13.6% და 13.4%.

ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში სულ 6 საწარმო დაფინანსდა 49.2 ათასი ლარით. კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული აქტივობები მოიცავს წარმოების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დანერგვას, ინტერნეტ-პოტენციალის ათვისებას (ვებ-გვერდის მომზადება, სოციალური ქსელის განახლება, სრული ბრენდინგი), შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის/ნორმების შემუშავებას და დანერგვას, თანამშრომლების გადამზადებას კონკრეტული მიმართულებით და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებას.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება





სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება




2016 წლიდან პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულება დაემატა, რომელიც მენარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითარონ სასტუმრო ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები. კომპონენტი მოიცავს კრედიტის და საერთაშორისო ბრენდის მიმართულებებს. ბენეფიციარებს შეუძლიათ ორივე კომპონენტით ისარგებლონ, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთდროულად. 2020 წელს პროგრამის ამ მიმართულებაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ, კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ან სალიზინგო კომპანიის მიერ გაცემული ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც, ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთს დამატებული, შესაბამისად, 3% და 5%. ასევე, თანადაფინანსების პერიოდი გაიზარდა 24-დან 36 თვემდე. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ისარგებლებს საერთაშორისო ბრენდის კომპონენტით, სესხის მაქსიმალური ოდენობა იქნება 10 მლნ ლარი, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე - 4 მლნ ლარი..



სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტის შედეგები 2020



სასტუმრო ინდუსტრიის კომპონენტის შედეგები 2016-2020



2016 წლიდან დღემდე სასტუმრო პროექტებთან დაკავშირებით 193 ხელშეკრულება გაფორმდა, რომელთაგან 137 უნიკალური ბენეფიციარია. პროექტებზე ხელშეკრულების ფარგლებში დამტკიცებული სესხის მოცულობა 224.1 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ინვესტიცია 459 მლნ ლარს აჭარბებს. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 3,700-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

2020 წელს 2019 წელთან შედარებით გაფორმებული ხელშეკრულებების რიცხვი 52.9%-ით, სავარაუდო ჯამური ინვესტიციის მოცულობა 30.4%-ით, ხოლო დამტკიცებული სესხების მოცულობა 46.0%-ით შემცირდა. ამავე პერიოდში ახალი სამუშაო ადგილების და ახალი სასტუმრო ოთახების რაოდენობა, შესაბამისად, 46.4% და 56.8%-ით შემცირდა. მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა 33.3%-ით გაიზარდა სააგენტოს მიერ ამ მიმართულებით გაცემული თანხის მოცულობა.

სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები რეგიონულ ტრილში

| რეგიონი | პროექტების რაოდენობა | სესხის მოცულობა (მლნ) | ინვესტიცია (მლნ) | ახალი სასტუმროს ნომრების რაოდენობა | დასაქმება |
|------------------------|----------------------|-----------------------|------------------|------------------------------------|------------|
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 7 | 7.4 | 15 | 72 | 54 |
| კახეთი | 7 | 3.3 | 8.9 | 20 | 114 |
| მცხეთა-მთიანეთი | 5 | 5.4 | 16.4 | 64 | 64 |
| აჭარა | 4 | 9.4 | 31.1 | 166 | 205 |
| სამცხე-ჯავახეთი | 3 | 4.5 | 4.6 | 70 | 50 |
| იმერეთი | 3 | 2.6 | 3.1 | 38 | 22 |
| შიდა ქართლი | 2 | 5.9 | 17.9 | 145 | 85 |
| გურია | 1 | 1.4 | 2.4 | 60 | 61 |
| სულ | 32 | 39.9 | 99.5 | 635 | 655 |

2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ყველაზე მეტი პროექტის განხორციელება იგეგმება სამეგრელო-ზემო სვანეთში (21.9%), კახეთსა (21.9%) და მცხეთა-მთიანეთში (15.6%). აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ახალი სასტუმრო ნომერი აჭარის რეგიონს დაემატება.

2020 წლის მანძილზე სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით სესხის პროცენტის თანადაფინანსების მიზნით სააგენტომ 9.3 მილიონი ლარი გასცა სულ 107 პროექტზე. ამ პროექტებიდან ყველაზე დიდი წილი კახეთის რეგიონს ეკუთვნის, სადაც 29 სასტუმრო პროექტზე სააგენტომ 2.2 მილიონი ლარი გასცა.

2020 წელს დაფინანსებული სასტუმრო პროექტები რეგიონულ ქრისტში

| რეგიონი | პროექტების რაოდენობა | გაცემული თანხა (მლნ) | საშუალოდ ერთ პროექტზე გაცემული თანხა (ათასი) |
|------------------------|----------------------|----------------------|--|
| პანკთი | 29 | 2.2 | 74.5 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 18 | 0.8 | 45.5 |
| მცხეთა-მთიანეთი | 15 | 1.6 | 105.9 |
| იმერეთი | 13 | 1.1 | 82.2 |
| სამცხე-ჯავახეთი | 12 | 0.9 | 80.2 |
| აჭარა | 11 | 1.7 | 158.3 |
| გურია | 7 | 0.7 | 101.2 |
| შიდა ქართლი | 2 | 0.2 | 103.2 |
| სულ | 107 | 9.3 | 86.5 |

პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტით 2020 წელს ერთმა სასტუმრომ ისარგებლა. ამ კომპონენტში სააგენტოს ხარჯმა სულ 3.6 ათასი ლარი შეადგინა. კომპონენტის ფარგლებში დაფინანსებულმა სასტუმრომ ისარგებლა სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურებით. აღნიშნულში იგულისხმება ბაზრის კვლევა და ბიზნესის განვითარების გეგმის შემუშავება, კადრების გადამზადება და მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება. ასევე, საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მხრივ სააგენტომ 2020 წელს სამი ახალი ხელშეკრულება გააფორმა. ამავ საანგარიშო პერიოდში ამ კომპონენტით ჯამში გადარიცხულმა თანხამ 372.8 ათასი ლარი შეადგინა.

2020 წლის დეკემბრის თვეში ასევე გაფორმდა ერთი ხელშეკრულება ტურისტული სერვისების მიმართულებით, აღნიშნულ პროექტზე ხელშეკრულების ფარგლებში დამტკიცებული სესხის მოცულობა 7.0 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ინვესტიცია 14 მლნ ლარს.

მიკრო და მცირე ბრანდები



მიკრო და მცირე გრანტები

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ბიზნესის წამოწყებისთვის ან/და არსებულის გადაიარაღებისთვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება. ასევე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება. მიმდინარე წელს, მიკრო და მცირე გრანტების პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაფართოვდა ბიზნესის ოპერირების ლოკაციები (მოიცვა მთელი ქვეყნის ტერიტორია). გაიზარდა საგრანტო თანხების მაქსიმალური მოცულობა 20,000 ლარიდან 30,000 ლარამდე. შემცირდა პროგრამის ახალი ბენეფიციარებისთვის თანამონაწილეობის წილი 20%-დან 10%-მდე, ხოლო არსებული ბენეფიციარებისთვის 50%-დან 25%-მდე. ასევე, განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებულ პროექტებს მიენიჭა პრიორიტეტი, და პროგრამა ამ ეტაპისთვის 300-ზე მეტი საქმიანობის მიმართულების დაფინანსებას მოიცავს.

*მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის შეჯამება
2020 წელი*

| რეგიონი | შემოსული განაცხადები | ტრენინგების ეტაპზე გადასული |
|-------------------------------|----------------------|-----------------------------|
| აჭარა | 2460 | 366 |
| გურია | 1161 | 127 |
| თბილისი | 5793 | 1186 |
| იმერეთი | 3311 | 585 |
| კახეთი | 3133 | 348 |
| მცხეთა-მთიანეთი | 1618 | 116 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1833 | 55 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 2362 | 396 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1496 | 167 |
| ქვემო ქართლი | 1362 | 468 |
| შიდა ქართლი | 1770 | 310 |
| სულ | 26,299 | 4,124 |

2020 წლის 5 ოქტომბერს გამოცხადდა მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სულ შემოვიდა 26,299 განაცხადი, საიდანაც შემდეგ ეტაპზე გადავიდა 4,124. ტრენინგების ეტაპზე გადასული ბენეფიციარებიდან 2074 (50.3%) არის ქალი ბენეფიციარი. ამ დროისთვის, ჯერ არ გამოვლენილა გამარჯვებული ბენეფიციარები.



2015-2018 წლებში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 6212 პროექტი. აღნიშნულ პროექტებში სულ ჩართული იყო 9384 ბენეფიციარი, რომელთაგანაც 3785 ქალია. სააგენტოს მიერ მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ჯამურად გაცემულმა თანხამ შეადგინა 46.9 მლნ ლარი, ხოლო ინვესტიცია 61 მლნ ლარს აჭარბებს. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 15,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

საკრედიტო-საგარანტიო სქემა



საკრედიტო-საგარანტიო სქემა

სახელმწიფო პროგრამის - საკრედიტო საგარანტიო სქემის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკის დაკრედიტების ხელშეწყობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, მათ შორის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება და ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა. პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამცირებლად 2020 წელს სქემის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარიდან 330 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ახალ სესხებზე კი გაიზარდა გარანტირებული თანხების მოცულობა ძირითადი თანხის 70-დან 90%-მდე. ბანკების გარდა ფინანსური ინსტიტუტის როლში დაემატა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და დასაშვები გახდა კომერციულ ბანკებში პროგრამის გარეთ გაცემული სესხის პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურირების და რეფინანსირების გაკეთება.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის პროგრამის შეჯამება
2020 წელი



2020 წელს, საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ხელი მოეწერა 174 ხელშეკრულებას. აქედან 154 გაფორმდა ახალი, ხოლო 20 რესტრუქტურირებული სესხის გარანტიისთვის. ჯამური სესხის მოცულობა შეადგენს 148.5 მილიონ ლარს. აქედან, სააგენტოს მიერ გარანტირებულია 121.8 მილიონი ლარი, რაც მთლიანი სესხის მოცულობის 82%-ია. პროგრამის ფარგლებში სესხი გასცა 9 ბანკმა. ბანკების მიხედვით ყველაზე დიდი ათვისება აქვს თიბისი ბანკს, რომელმაც 87 პროექტი დააფინანსა 81.7 მილიონი ლარით.

მსოფლიოში არსებული პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად შექმნილი დროებითი პროგრამები



2020 წელს, მსოფლიოში შექმნილი პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა ახალი პროგრამები: იპოთეკური სესხები, მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმროების, სარესტორნო ინდუსტრიის, ღონისძიების ორგანიზატორთა სესხის პროცენტის და IATA-ს აკრედიტაციის მქონე და გენერალური გაყიდვების აგენტი კომპანიების გარანტიის საზღაურის სუბსიდირება.

იპოთეკური სესხების სუბსიდირება

2020 წელს, სააგენტოს დაემატა იპოთეკური სესხების სუბსიდირების პროგრამა, რომლის მიზანია დეველოპერულ სექტორში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევა, უძრავ ქონებაზე წვდომის გაუმჯობესება იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სტიმულირება სხვადასხვა კომპონენტის მეშვეობით.

*იპოთეკური სესხის და გარანტიის მოცულობის შეჯამება
2020*



აღნიშნული პროგრამა დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს და საბოლოო მდგომარეობით, იპოთეკური სესხის სუბსიდირებაში სულ ჩაერთო 8443 ბენეფიციარი, რომელთაგან 2072-მა ისარგებლა სესხის გარანტიითაც. ჯამურმა სესხის მოცულობამ 827.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც, საშუალოდ, 98 ათასი ლარია ბენეფიციარზე.

პროგრამის ფარგლებში სესხი გასცა 10-მა ბანკმა. სესხის მოცულობის მიხედვით ყველაზე დიდი პორტფელი აქვს საქართველოს ბანკს, რომელმაც 3895 სესხი დაამტკიცა საერთო ღირებულებით 369.4 მილიონი ლარი.

მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმროები

მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის პროგრამის მიზანია სასტუმრო ინდუსტრიაში მოქმედი იმ მენარმე სუბიექტებისათვის დახმარება, რომელთაც ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე არ აქვთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ კომერციულ ბანკში აღებული სესხის დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდა. პროგრამის ფარგლებში, 24 იანვრის მდგომარეობით, 3254 განაცხადზე გადაირიცხა თანხა, რამაც 45.6 მილიონი ლარი შეადგინა.

მცირე და საოჯახო სასტუმროების პროგრამის შეჯამება 2020

| ნაკაძი I | ნაკაძი II | ნაკაძი III | ნაკაძი IV | ჯამი |
|--|--|---|--|-------------|
| დაფინანსებადი პროექტების რაოდენობა 700 | დაფინანსებადი პროექტების რაოდენობა 628 | დაფინანსებადი პროექტების რაოდენობა 1623 | დაფინანსებადი პროექტების რაოდენობა 303 | 3254 |
| სუბსიდიის მოცულობა (მლნ ლარი) 6.2 | სუბსიდიის მოცულობა (მლნ ლარი) 10.4 | სუბსიდიის მოცულობა (მლნ ლარი) 24.5 | სუბსიდიის მოცულობა (მლნ ლარი) 4.5 | 45.6 |

IATA-ს აკრედიტაციის მქონე და გენერალური გაყიდვების აგენტი კომპანიების გარანტიის საზღაურის სუბსიდირება

2020 წელს IATA-ს და GSA გარანტიების სუბსიდირების ფარგლებში 33 კომპანიის 39 გარანტიაზე გადაირიცხა თანხები. ჯამში გადაირიცხა USD 70,405.03 და EUR 4,209.3 ექვივალენტი ლარში (GEL 243,634.55).


ლონისძიების ორგანიზატორთა სესხის პროცენტის სუბსიდირება

ასევე, „ლონისძიების ორგანიზატორთა მიერ კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის სუბსიდირების სქემის“ ფარგლებში, 2020 წელს, 21 ბენეფიციარის მიერ აღებულ 29 სესხზე ჯამში გადაირიცხა 299,928.76 ლარი (244 ათასი ლარი, 11,7 ათასი დოლარი და 4,4 ათასი ევრო). იმავე პროგრამის მეორე ნაკადის ფარგლებში, 20 ბენეფიციარის მიერ აღებულ 26 სესხზე ჯამში გადაირიცხა 370,060.78 (215 ათასი ლარი, 23,2 ათასი დოლარი და 19,8 ათასი ევრო).

სარესტორნო ინდუსტრიის სესხის პროცენტის სუბსიდირება

ასევე, რესტორნების სესხის პროცენტის სუბსიდირების სქემის ფარგლებში, 2020 წელს, 300 ბენეფიციარის მიერ აღებულ 420 სესხზე ჯამში გადაირიცხა 4.7 მლნ ლარი.

სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ – ექსპორტის მიმართულება



სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების მიზანია ექსპორტის სტიმულირება, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა და ამ მიზნით ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე. სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტი მუდმივად ახდენს მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი სექტორების, პროდუქტების და ბაზრების იდენტიფიცირებას და მუშაობს ამ მიმართულებით შესაძლებლობის ათვისებაზე.

საერთაშორისო გამოფენები

2020 წელს, მსოფლიოში არსებული პანდემიის საპასუხოდ, ექსპორტის დეპარტამენტმა ტრადიციული ფორმატის ღონისძიებებთან ერთად, მხარი დაუჭირა ქართული კომპანიების ონლაინ ღონისძიებებში მონაწილეობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ, საერთაშორისო მოდის კვირეულების ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებებში (ე.წ. შოურუმში) მონაწილეობის მისაღებად შეიმუშავა და დაამტკიცა კომპანიების შერჩევის კრიტერიუმები და თანადაფინანსების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ონლაინ შოურუმებში მონაწილეობას, რაც ერთგვარი შემხვედრი ნაბიჯია COVID-19-ით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად. ექსპორტის სტიმულირების მიზნით სააგენტომ სულ 10 საერთაშორისო ღონისძიებასა და 9 ონლაინ შოურუმში განახორციელა ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია, რომელშიც ჯამურად მონაწილეობა მიიღო 49 უნიკალურმა კომპანიამ.



2020 წელს ორგანიზებული ღონისძიებებიდან და ონლაინ შოურუმებიდან 10 ჩატარდა ევროკავშირის ქვეყნებში. კერძოდ: საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიასა და დიდ ბრიტანეთში.

წელს განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებები და ონლაინ შოურუმები რეგიონულ ტერიტორიაში



2020 წელს ღონისძიებების და შოურუმების უმეტესობა წარმოდგენილი იყო ტანსაცმლის და აქსესუარების სექტორში.

2020 წელს განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებები და ონლაინ შოურუმები სექტორულ ჭრილში



2020 წელს, სააგენტოს ორგანიზებით და თანადაფინანსებით, ქართულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს მასშტაბურ და მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში და ონლაინ შოურუმებში, მათ შორის:

2020 წლის 25-27 იანვარს, საფრანგეთში, ქ. პარიზში, სააგენტომ მხარი დაუჭირა ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 4 ქართული კომპანიის მონაწილეობას საგამოფენო ღონისძიებაზე (trade show) Play Time Paris.

2020 წლის 16-18 იანვარს, იტალია, ქ. ფლორენციაში, სააგენტომ მხარი დაუჭირა ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 2 ქართული კომპანიის მონაწილეობას საგამოფენო ღონისძიებაზე (trade show) PITTI IMAGINE BIMBO.

სააგენტომ მხარი დაუჭირა ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 4 ქართული კომპანიის მონაწილეობას ონლაინ საგამოფენო ღონისძიებაზე (online trade show) Play Time Paris, რომელიც ჩატარდა ქ.პარიზში, საფრანგეთი. გამოფენის აქტიური თარიღები იყო 2020 წლის 4-6 ივლისი. ამასთან, კომპანიების მიერ ატვირთული პროდუქცია ერთი წლის ვადით განთავსებულ იქნა გამოფენის ვირტუალურ საგამოფენო სივრცეში.

2020 წლის 16 ივლისი - 9 ოქტომბერი, იტალიაში, ქ. ფლორენციაში, ამავე წელს სააგენტომ მხარი დაუჭირა ერთი ქართული კომპანიის მონაწილეობას ბავშვის ტანსაცმლის საერთაშორისო ონლაინ გამოფენაზე (online trade show) PITTI IMMAGINE BIMBO, რომელიც გაიმართა იტალიის ქალაქ ფლორენციაში (აქტიური თარიღები: 16 ივლისი - 9 ოქტომბერი, 2020 წელი)

საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულებით სააგენტომ ორგანიზება გაუწია ქართული კომპანიების მონაწილეობას შემდეგ საერთაშორისო გამოფენებზე: “Gulfood 2020” (დუბაი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, 16-20 თებერვალი. მონაწილეობა მიიღო 14-მა ქართულმა ექსპორტიორმა) და Biofach 2020 (ნიუნბერგი, გერმანია. 12-15 თებერვალი. მონაწილეობა მიიღო 5-მა ქართულმა ექსპორტიორმა კომპანიამ).

ორგანიზება გაეწია ფეხსაცმლის მწარმოებელი სამი (3) ქართული კომპანიის მონაწილეობას ამავე ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებაში MICAM ჩატარების ადგილი: იტალია, ქ. მილანი, 16-19 თებერვალი, 2020).

სააგენტომ ხელი შეუწყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩვენებას „Paris Fashion Week“-ის თანმდევ ღონისძიებებზე სხვადასხვა შოურუმებში, შემდეგ თარიღებში: 15 -22 იანვარს, სადაც წარმოდგენილი იყო 3 დიზაინერი; 25 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით (პარიზი, საფრანგეთი), სადაც ჯამში წარმოდგენილი იყო 17 დიზაინერი.

სააგენტომ, 22 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით, ხელი შეუწყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩვენებას სხვადასხვა საერთაშორისო შოურუმში (PAPER MACHE TIGER SHOWROOM, PINK HEATER SHOWROOM, CONNECT AGENCY) , სადაც ჯამურად მონაწილეობა მიიღო 4-მა დიზაინერმა.

სააგენტომ ხელი შეუწყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩვენებას „Shanghai Fashion Week“-ის თანმდევ ღონისძიებებზე სხვადასხვა ე.წ. Showroom-ში, რომელიც გაიმართა 9 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით (შანხაი, ჩინეთი), სადაც ჯამში წარმოდგენილი იყო 4 დიზაინერი.

სააგენტომ ხელი შეუწყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩვენებას ონლაინ საერთაშორისო შოურუმში JOOR.COM. პლატფორმაზე ჯამურად 6 ქართველი დიზაინერის პროდუქცია განთავსდა. აგრეთვე ონლაინ შოურუმების მხარდაჭერის ფარგლებში პლატფორმა www.ordre.com - ზე განთავსდა 1 ქართველი დიზაინერის პროდუქცია.

„ანარმე საქართველოში“ სააგენტო ექსპორტის ხელშეწყობ საუკეთესო სააგენტოდ დასახელდა 60 ქვეყნის 60 ორგანიზაციას შორის.

მოკლე აღწერა: WTPO Awards ხორციელდება გაერთიანებული ერების (EU) და მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (WTO) საერთო სააგენტოს - International Trade Center მიერ, რომელშიც მონაწილეობას იღებს ექსპორტის მხარდამჭერი სახელმწიფო ორგანიზაციები. საერთაშორისო კონკურსის ფარგლებში აღნიშნული ორგანიზაციები წარადგინენ ექსპორტის მასტიმულირებელ ინიციატივებს, საიდანაც ჟიური ავლენს გამარჯვებულებს სამი სხვადასხვა ნომინაციისთვის: “Best use of a partnership”, “Best use of information Technology” და “Best initiative for inclusive and sustainable trade”.



WINNER'S CERTIFICATE

LEPL ENTERPRISE GEORGIA

EXCELLENCE IN EXPORT DEVELOPMENT INITIATIVES

BEST USE OF INFORMATION TECHNOLOGY

14 OCTOBER 2020



A handwritten signature in black ink, appearing to read "P. Hamilton", is positioned above the printed name and title.

PAMELA COKE-HAMILTON
EXECUTIVE DIRECTOR
INTERNATIONAL TRADE CENTRE

PRESENTED AT THE WTPO AWARDS ONLINE CEREMONY 2020

USAID Agriculture Program-ის მხარდაჭერით, "Branding Georgian Agribusiness" პროექტის ფარგლებში, ქვეყნის აგროსასურსათო პროდუქციისთვის შემუშავდა სლოგანი და ლოგო. შემუშავების პროცესშია სტენდის დიზაინი საერთაშორისო გამოფენებისთვის. პროექტში ჩართული მხარეები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ანარმეო საქართველოში, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო.

USAID Agriculture Program-ის მხარდაჭერით განახლდა ქვეყნის საექსპორტო პლატფორმა www.tradewithgeorgia.com ვებ-გვერდს დაემატა კომპანიების შერჩევის და თანადაფინანსების ფუნქციონალი, ჩაშენდა ექსპორტის გზამკვლევი და განთავსდა ონლაინ ტრენინგი ექსპორტის საბაზისო საკითხებზე. შედეგად, ექსპორტიორისთვის, ერთიან სივრცეში ხელმისაწვდომია სააგენტოს ყველა სერვისი ექსპორტის მხარდაჭერის მიმართულებით.

GEclose2EU - პროექტის ფარგლებში, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) ერთად ხორციელდება, ჯამში 100-მა ბენეფიციარმა მიიღო გრანტი, თითოეულმა 15 000 ლარის ოდენობით (სექტორები: ბავშვის ტანსაცმელი, სათამაშოები, IT, ბიზნეს კონსალტინგი, არქიტექტურა და დიზაინი).

სააგენტო აქტიურად ჩაერთო ექსპორტის მხარდაჭერ პროექტში კლასტერები განვითარებისთვის (Clusters for Development), რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ.

გაფორმდა მემორანდუმი (GIZ)-თან ონლაინ შოურუმების საერთო თანადაფინანსების მექანიზმთან დაკავშირებით, რომლითაც 5-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. მათი პროდუქცია, ერთი წლის ვადით განთავსებულია საერთაშორისო ონლაინ პლატფორმებზე. 2020 წლის განმავლობაში, ექსპორტის დეპარტამენტმა კონსულტაცია გაუწია 900-მდე დაინტერესებულ პირს ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორც სატელეფონო, ისე ელ.ფოსტის, ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების გზით. 2020 წლის განმავლობაში www.tradewithgeorgia.com-ზე დარეგისტრირდა 100-მდე ახალი კომპანია.

www.tradewithgeorgia.com



სააგენტო „ანაროთა საქართველოში“ – ინვესტიციების მიმართულება



სააგენტოს ინვესტიციების მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და რეინვესტირების წახალისება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

პანდემიიდან გამომდინარე 2020 წლის ბოლოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობით მოხდა 2019 წელს მომზადებული სექტორების შეფასების დოკუმენტის გადახედვა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით პრიორიტეტული სექტორების მცირე ცვლილება. აღნიშნული გულისხმობს სექტორების ორი მთავარი ფაქტორით, სექტორის მიმზიდველობითა და პოტენციური ინვესტორისთვის საინვესტიციო შეთავაზების მიზანშეწონილობით, რანჟირებას. აღნიშნული რანჟირებისას ასევე გათვალისწინებული იყო პანდემიის გავლენა და IFC-ის საინვესტიციო მიმართულების პრიორიტეტები. ჩატარებული ანალიზის მიხედვით, განახლდა სსიპ-ის „ანარმლე საქართველოში“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც გამოკვეთს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- * ბიზნესსერვისების აუტოსონინგი და IT
- * კომპიუტერების, ელექტრონული და ელექტრული მოწყობილობების ნაწილების და კომპონენტების წარმოება
- * ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება
- * საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნიკური მომსახურება (MRO)
- * საავიაციო ნაწილების და კომპონენტების წარმოება
- * ავტონაწილების წარმოება
- * სასტუმროების ინდუსტრია და ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა

საქართველოს საინვესტიციო გარემოს და შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა და პერიოდულად ახლდება სექტორული ბროშურები, საინვესტიციო პროექტების კატალოგი და საინვესტიციო გზამკვლევები. 2020 წელს მომზადდა „საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის კვლევა“, რომელიც მოიცავს 8 ქვე-სექტორის კვლევას: სასტუმრო უძრავი ქონების ბაზარი, საოფისე უძრავი ქონება, საცხოვრებელი უძრავი ქონება, საცალო ვაჭრობა, ინდუსტრიული და ლოგისტიკური უძრავი ქონება, MICE ტურიზმის პოტენციალის კვლევა, სპორტული ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის თემატური კვლევა, გართობის და დასვენების სექტორი. კვლევის ფარგლებში ასევე მომზადდა 12 საინვესტიციო შეთავაზება განვითარების მოდელებითა და ფინანსური ინდიკატორებით. პროექტები თემატურად მოიცავს მრავალფეროვან მიმართულებებს, როგორებიც არის სამთო, საზღვაო, სპა, გამაჯანსაღებელი, ეკო და სხვა ტიპის ტურისტული ადგილების განვითარება.

საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით გამოქვეყნდა სტატიები წამყვან გამოცემებში და უცხოურ ბიზნეს ასოციაციებთან ერთად მომზადდა ანგარიშები საქართველოს შესახებ, რომლებიც გავრცელდა ასოციაციების წევრ კომპანიებში. მათ შორის აღსანიშნავია: გერმანიის აუტსორსინგის ასოციაციის მიერ საქართველოს შესახებ სპეციალური გამოცემის გამოშვება Outsourcing Destination Guide Georgia, Everest Group-ის მიერ საქართველოს შესახებ „Location Spotlight 2020 - Georgia“ კვლევის გამოქვეყნება, IAOP Pulse Magazine-ში საქართველოს BPO სექტორის შესახებ სტატია, საქართველოს შესახებ ჩანართები საინვესტიციო თემატიკის მიმართულებით ლიდერ ჟურნალებში Site Selection და FDI Alliance.

2020 წელს საინვესტიციო მიმართულებით ორგანიზება გაუკეთდა 6 საერთაშორისო ღონისძიებას და ონლაინ კონფერენციას, რომელიც საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გაცნობას ემსახურებოდა. ამასთან, პრიორიტეტული სექტორების და კომპანიების პროფილების მიხედვით მომზადდა 630 სამიზნე კომპანიის ბაზა, რომლებთანაც, საელჩოებთან ერთად, მიმდინარეობს საკონფერენციო ბარების დანიშვნა.

მომზადდა გზამკვლევი დიპლომატებისთვის, რომელიც მოიცავს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან თანამშრომლობით ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმს, სექტორების მიხედვით სასაუბროს, სამიზნე კომპანიებს, კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებს და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ახალი სახელმწიფო პროგრამა უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისათვის - ე.წ. FDI გრანტი. აღნიშნული გულისხმობს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების შემდეგ კომპანიებისთვის კვალიფიციური ხარჯების ანაზღაურებას. მექანიზმი მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, სერვისების ექსპორტს, ლოგისტიკისა და თვითმფრინავების მომსახურების სფეროებს ფარავს.

სააგენტოს საინვესტიციო მიმართულება აქტიურად მუშაობს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიებთან ე.წ. Location adviser-თან, რომლებიც ახდენენ ქვეყნების საინვესტიციო პოტენციალის შეფასებას და მულტინაციონალურ კომპანიებს ეხმარებიან ახალი საინვესტიციო ადგილების არჩევაში. საქართველოს შესაძლებლობების უკეთ ჩვენების მიზნით სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში სააგენტომ ორგანიზება გაუკეთა აღნიშნული საკონსულტაციო კომპანიების ორ გაცნობით ტურს საქართველოში.

სააგენტოს აქტიური მუშაობის შედეგად, გაუმჯობესდა საქართველოს პოზიცია საერთაშორისო მასშტაბით BPO სექტორის მონინავე პლატფორმა SSON Analytics-ზე. SSON Analytics მეშვეობით პოტენციურ ინვესტორ კომპანიას შეუძლია ქალაქების საინვესტიციო პოტენციალის შეფასება სერვისების აუტსორსინგის მიმართულებით. ამჟამად, პლატფორმაზე შეყვანილია ინფორმაცია თბილისი, ბათუმის და ქუთაისის შესახებ.

დაწყებული საინვესტიციო პროექტები

პანდემიის მიუხედავად, 2020 წელს სააგენტოს ხელშეწყობით დაიწყო 4 ახალი პროექტის განხორციელება, რომელთა ჯამური ღირებულება 73.2 მილიონი აშშ დოლარია. პროექტების განხორციელების შემდეგ 680-მდე სამუშაო ადგილი შეიქმნება. აღნიშნული პროექტები მოიცავს ენერგეტიკის, უძრავი ქონების, სოფლის მეურნეობის და სერვისების აუტსორსინგის მიმართულებებს. ასევე, სააგენტოს ხელშეწყობით რეინვესტირების შედეგად დაიწყო 8 მილიონამდე ღირებულების პროექტები, რომელიც შექმნის 3,100 ახალ სამუშაო ადგილს.

ენერგეტიკა

ენერგეტიკის სფეროში ერთ-ერთმა მონინავე იაპონურმა კომპანიამ Tokyo Electric Power Company (TEPCO) 2020 წელს განახორციელა ინვესტიცია ჰიდროელექტროსადგურში, რომლის დადგმული სიმძლავრე 108 მგვტ-ია და საქართველოში იაპონიიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციას წარმოადგენს.

სასტუმროების ინდუსტრია

2020 წელს კახეთში დაიწყო ახალი სასტუმრო და ტურისტული კომპლექსის პროექტი COASIS Resort Kakheti, რომელიც პოლონური ინვესტიციით განხორციელდება. პროექტის ღირებულება 13 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

სოფლის მეურნეობა

შვეიცარულმა შოკოლადის მწარმოებელმა კომპანიამ Camille Bloch დაიწყო ინვესტიცია პროექტში, რომელიც 650 ჰექტარზე გაშენებულ პლანტაციებსა და ნედლეულის გადამამუშავებელ ქარხანას მოიცავს. პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 10 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს.

სამკერვალო წარმოება

სამკერვალო მიმართულებით საქართველოში უკვე არსებულმა ერთ-ერთმა მსხვილმა ინვესტორმა Ajara Textile მიიღო რეინვესტირების გადაწყვეტილება და დაიწყო ახალი სანარმოს მშენებლობა რუსთავში. აღნიშნული პროექტით შეიქმნება 3,000 ახალი სამუშაო ადგილი.

ბიზნეს სერვისების აუტოსორსინგი

ირლანდიურმა კომპანიამ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი დისტანციური საგანმანათლებლო სერვისების მიმწოდებელ პლატფორმას ფლობს და მომხმარებლებს სთავაზობს მოკლევადიან კურსებს სხვადასხვა თემატიკაზე (ფოტოგრაფია, დიზაინი, მარკეტინგი, ბიზნესი, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვა), 2020 წელს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ინვესტირების შესახებ. საქართველოს ოფისი ინგლისურ ენაზე უზრუნველყოფს დისტანციური მხარდაჭერის და გაყიდვების სერვისებს უცხოელი მომხმარებლებისთვის. პროექტის შედეგად შეიქმნება 500-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

სააგენტოს მხარდაჭერით BPO სექტორში არსებულმა ერთ-ერთმა მსხვილმა ინვესტორმა Majorel 2020 წელს გააფართოვა საქმიანობა და ბათუმში გახსნა კომპანიის რიგით მე-4 ოფისი საქართველოში. აღნიშნულ პროექტში დასაქმდება დაახლოებით 100 ადამიანი, რომლებიც გერმანულ ენაზე მოემსახურებიან უმსხვილეს საერთაშორისო კომპანიებს (მომხმარებლებთან ურთიერთობის სერვისები ტელეფონით, ელ. ფოსტით და სოციალური ქსელებით).

მომსახურების ცენტრი



მომსახურების ცენტრი

სააგენტოს მომსახურების ცენტრი აერთიანებს შემდეგ მომსახურების არხებს:



სატელეფონო ცენტრი
(Call Center)



ონლაინ ჩატი
(live chat)



ფეისბუქ ჩატი
(Fb chat)




ელექტრონული ფოსტა
(E-mail)

ქოლცენტრთან სწრაფი და ადვილი წვდომისთვის მოკლე ცხელი ხაზის ნომერია - 1525.

სატელეფონო ცენტრის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, ფუნქციონირებს "კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯმენტი" (CRM) პროგრამა. პროგრამა თვლის სააგენტოს „ანარმომე საქართველოში“ მიერ განეულ კონსულტაციებს და წარმოადგენს „Case Management System“-ის ინსტრუმენტს შემდეგი მომსახურების საფუძველზე:




შემოსული და გამავალი ზარების
მონიტორინგი



აუდიო ჩანაწარ



გადსასაჭრალი და პრიორიტეტული
საკითხების იდენტიფიკაცია
და სისტემატიზაცია



ანგარიშგების მენეჯმენტი სხვადასხვა
კრიტერიუმის მიხედვით, როგორცაა
ბანეფიციარების ეკონომიკური საქმიანობა,
რეგიონული დაყოფა, თვებრბოტორის
პორტფოლიო და სხვა

2020 წელს, მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო მომსახურების ცენტრი სრულად გადავიდა დისტანციურ მომსახურებაზე. წინა წელთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილია მომართვიანობა, რაც მეტწილად გამოწვეულია მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშემწყობი პროგრამის განხორციელებით და ასევე სააგენტოს სხვადასხვა მოკლევადიანი პროგრამებით.

სააგენტოს მომსახურების ცენტრში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით 2020 წელს დაფიქსირდა 50,398 მომართვიანობა. აღნიშნული მოიცავს: შემოსულ ზარებს, გასულ ზარებს, ონლაინ ჩატს, ფეისბუქ ჩატს და ელექტრონულ ფოსტას.

მომსახურების ცენტრის 2020 წლის დატვირთვა



პროგრამა „სახელმწიფო შენი პარტნიორის“ ფარგლებში შეიქმნა პლატფორმა programs.gov.ge რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების შესახებ. 2020 წელს სააგენტოს წარმომადგენლების მიერ განხორციელდა იუსტიციის სახლების და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლების დატრენინგება, რის შედეგადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია სააგენტოს პროგრამების შესახებ. გარდა ამისა, მომსახურების ცენტრმა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიანოდა საჭირო ინფორმაცია შემდეგი სააგენტოების მომსახურებაზე/პროექტებზე:

- სააგენტო „ანარმთე საქართველოში“
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო
- საპარტნიორო ფონდი

დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა



2019 წლიდან სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ რეორგანიზაციის პროცესის დასრულების საფუძველზე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორთა კოორდინაციის სამსახურის ჩამოყალიბების შედეგად, სააგენტო პროაქტიულად თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რაც, თავის მხრივ, მენარმეობის ხელშეწყობის, ექსპორტის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით სათანადო რესურსების მოძიებასა და არსებული პროგრამების განვითარებას ემსახურება.

2019-2020 წლის მონაცემებით, **14** დონორ და პარტნიორ ორგანიზაციასთან სააგენტოს თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა და დაგეგმილია **45** სხვადასხვა პროექტი. აღნიშნული პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა **7,7** მლნ. ლარი, ხოლო უშუალოდ სააგენტოს მიერ ინიცირებული პროექტების საერთო ბიუჯეტი **5,1** მლნ. ლარს უტოლდება.

USAID

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის პროგრამების მხარდაჭერით შეიქმნა ვებპორტალი - www.programs.gov.ge, რომელზეც თავმოყრილია ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების შესახებ. პორტალი ხელს უწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლებს მიიღონ ის რესურსები, რომელებიც დაეხმარება მათი წარმოების გაფართოებას, ახალი, ინოვაციური პროდუქტების შექმნას და მომგებიან ბაზრებზე გასვლას. ამასთანავე, დონორის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით მუშავდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პლატფორმა, რომელიც ერთი ქოლგის ქვეშ გააერთიანებს ინფორმაციას სახელმწიფოს, ბანკების, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიებისა თუ დონორი ორგანიზაციების მხრიდან არსებული ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების თაობაზე და კერძო სექტორის წარმომადგენლებს დაეხმარება მოიძიონ მათ საჭიროებებზე მორგებული რესურსები.

The USAID Agriculture Program

- * USAID Agriculture Program-ის მხარდაჭერით სააგენტომ ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და სოფლის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით შეიმუშავა "Branding Georgian Agribusiness" კონცეფცია. პროექტის ფარგლებში შეიმუშავდა სლოგანი, ლოგო, სტენდის დიზაინი და სხვა შესაბამისი მასალა საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ერთიანი ქოლგის ქვეშ ბრენდირების და საერთაშორისო მასშტაბით ქართული აგროპროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით.



- * ამავ ე პროგრამის მხარდაჭერით განახლდა სავაჭრო პორტალი www.tradewithgeorgia.com, რომელიც ექსპორტიორს საშუალებას აძლევს ერთ სივრცეში ისარგებლოს სხვადასხვა სერვისით, მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდეს ხსენებულ პლატფორმაზე, გაიაროს ონლაინ ტრენინგი, ასევე, ისარგებლოს ქვეყნის საექსპორტო პროდუქტების ონლაინ კატალოგითა და ექსპორტის გზამკვლევით.
- * USAID Agriculture Program-ის მხარდაჭერით დაგეგმილია ქვეყნის აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე, მათ შორის ბეჭდური და ციფრული მედიის საშუალებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, USAID Agriculture Program-ის დახმარებით ასევე იგეგმება:
 - ვიდეო რგოლის განთავსება BBC-ის ეთერსა და ციფრულ სარეკლამო სივრცეში;
 - შეიქმნება www.tradewithgerogia.com-ის საპრომოციო ვიდეო რგოლი და განთავსდება სოციალურ ქსელებში.

The USAID Economic Security Program

- * ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით, კინონდუსტრიის ხელშეწყობისა და საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის კინოგადაღების მოედნის პოპულარიზაციის მიზნით დაიგეგმა 3 საერთაშორისო ღონის ლოკაციის მენეჯერის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში ხსენებულ მენეჯერებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მათთვის საინტერესო სხვადასხვა ლოკაციას, კინონდუსტრიის შესაძლებლობებსა და ადგილობრივი საპროდუსერო კომპანიების საქმიანობას. პროექტის ფარგლებში, კინონდუსტრიის 60 წარმომადგენლისათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასტერკლასი გაიმართა.

- * ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით, 2020 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში, საქართველოს საინვესტიციო ლოკაციების კონსულტანტები სტუმრობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან. ვიზიტის ფარგლებში ლოკაციების კონსულტანტებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნესგარემოს, ასევე, წარმატებულად განხორციელებული პროექტების თაობაზე.
- * ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით დაგეგმილია საქართველოში საავიაციო სარემონტო, შეკეთების და ტექნიკური მხარდაჭერის სერვისის (MRO) ცენტრის შექმნის მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელება.
- * USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, სააგენტოს „ანარმე საქართველოში“ საინვესტიციო გუნდი მჭიდროდ ითანამშრომლებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო ფირმასთან OCO Global-თან, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკაში მაღალანაზღაურებადი ინვესტიციების მოზიდვას და საქართველოს ეკონომიკის პოტენციალთან დაკავშირებით საერთაშორისო ინვესტორთა ცნობიერების ამაღლებას. ინიციატივის ფარგლებში, პრიორიტეტი იქნება ინდუსტრიული და ექსპორტზე ორიენტირებული პროექტები, როგორცაა ინოვაციური, მაღალხარისხიანი ელექტრონიკის, სამედიცინო ინსტრუმენტების, საავიაციო და მანქანების ნაწილების წარმოება.

USAID/HICD

- * პროგრამისა და სააგენტოს თანამშრომლობით, შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის სისტემა. შერჩეული კონსულტანტისა და სააგენტოს ადამიანური რესურსების მენეჯერის ჩართულობით ჩატარდა სამუშაო აღწერილობების ანალიზი; შემუშავდა შეფასების სისტემის პროექტი და შეფასების კრიტერიუმები თითოეული დეპარტამენტისთვის, ასევე, შემუშავდა სააგენტოს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პროცედურული ინსტრუქცია.
- * HICD-ის მხარდაჭერით, გაიწერა სააგენტოს ბიზნეს-პროცესები თითოეული დეპარტამენტისათვის. ასევე, საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით შემუშავდა რეკომენდაციები ინვესტიციების ხელშეწყობისა და ექსპორტის განვითარების მიმართულებით სათანადო მხარდაჭერი მექანიზმების დახვეწის კუთხით.

- * გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების გუნდის ჩართულობით ხორციელდება პროექტი სააგენტოს მეთოდოლოგიისა და მექანიზმების განვითარების მიმართულებით, რაც მოიცავს განხორციელებული პროგრამების შეფასებასა და სააგენტოს ანალიტიკის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებას.
- * GIZ-ის მხარდაჭერითა და დაფინანსებით დაიგეგმა სააგენტოს საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერების ტრენინგი მენეჯმენტის მიმართულებით.
- * GIZ-ის მხარდაჭერითა და დაფინანსებით განხორციელდა სააგენტოს მომსახურების ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი კრიზისების მართვისა და სერვისის პლუსის მიმართულებით. ტრენინგის ფარგლებში შემუშავდა პროტოკოლების მართვის სისტემა.
- * GIZ-ის ინიციატივით ჩამოყალიბდა ტანსაცმლის კლასტერი და დონორის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით 5-მდე ექსპორტზე ორიენტირებულმა კომპანიამ შეძლო ონლაინ შოურუმებში მონაწილეობის მიღება.
- * დონორის მხარდაჭერით დაიგეგმა მაკრო მიმართულების (სესხის, ლიზინგის, ტექნიკური დახმარების) პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.
- * GIZ-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა კლასტერების განვითარების ჩარჩო-დოკუმენტზე, რომლის მთავარი მიზანია განსაზღვროს კლასტერების ეროვნული პოლიტიკა და მოცემული გზით, ხელი შეუწყოს კერძო და საჯარო სექტორს შორის კოორდინაციას, კლასტერების ჩამოყალიბებასა თუ დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერას. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტი, ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავების მხრივ მოიაზრებს სააგენტოს „ანარმოდ სექტორში“ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შემდგომში კლასტერების განვითარებისათვის საჭირო პროგრამების ინიცირებასა და კონკრეტული აქტივობების განხორციელებას.
- * GIZ-ის მხარდაჭერით სააგენტოს საინვესტიციო და ექსპორტის დეპარტამენტებისთვის დაიგეგმა საერთაშორისო ონლაინ კურსი გაყიდვების მიმართულებით.

UNIDO

- * გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO) განახორციელა დიაგნოსტიკური კვლევა კლასტერების შექმნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით შემდეგ სექტორებში: 1. ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება; 2. თევზჭერა; 3. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება. ამასთანავე, დაგეგმილია და მიმდინარეობს დამატებითი 5 დიაგნოსტიკური კვლევის ჩატარება შემდეგი მიმართულებებით: ღვინო (კახეთი), საიუველირო ნაწარმი (თბილისი), სათამაშოები (თბილისი), მეფრინველეობა (ქვემო ქართლი) და ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება (გურია).

SIDA/EPRC

- * GeClose2EU პროექტის ფარგლებში, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) ორგანიზებით, 2020 წლის დასაწყისში, არქიტექტურისა და დიზაინის სექტორის წარმომადგენელი ქართული ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები სასწავლო ვიზიტით ეწვივნენ სტოკჰოლმს, შვედეთს.
- * სააგენტოს 34 ბენეფიციარმა კომპანიამ სათამაშოების და ბავშვების ტანსაცმლის სექტორიდან ისარგებლა EPRC-ის ტექნიკური მხარდაჭერის გრანტებით.
- * EPRC-ის მხარდაჭერით სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურის სამი თანამშრომელი 2021 წლის თებერვალში ე.წ კონტენტ მენეჯმენტის კურსს გაივლის თბილისის კომუნიკაციების სკოლაში.
- * დონორის მხარდაჭერით დაგეგმილია ელექტრონიკის სექტორის საინვესტიციო პოტენციალის კვლევის განხორციელების თანადაფინანსება.

UN Women

- * გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ სააგენტოში განხორციელებული გენდერული აუდიტის შედეგების საფუძველზე სსიპ-ში „აწარმოე საქართველოში“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელის დახმარებით შემუშავდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

International Trade Center (ITC)

- * ITC-ის მხარდაჭერით სააგენტოს 22 თანამშრომლისათვის ჩატარდა ტრენინგი პროექტების მართვის მიმართულებით.

Sparkassenstiftung

- * Sparkassenstiftung-ის მხარდაჭერითა და დაფინანსებით დამზადდა 4 საინფორმაციო ვიდეორგოლი სააგენტოს პროგრამების შესახებ.

UNDP

- * UNDP-ის მხარდაჭერითა და დაფინანსებით დამზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი მიკრო და მცირე მენარმეობის საგრანტო პროგრამის შესახებ.
- * UNDP-ის მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით, განხორციელდა საკონსულტაციო ცენტრების შექმნის (Growth Hubs) თაობაზე მიზანშეწონილობის კვლევა და მომზადდა კონცეფციის დოკუმენტი.

International Finance Corporation (IFC)

- * საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) მხარი დაუჭირა ინვესტიციების დეპარტამენტს სექტორების ანალიზისა და 2020-2021 წლების ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავების კუთხით. ამასთანავე, IFC-ის ექსპერტი 2021 წლის ბოლომდე დაეხმარება ხსენებულ დეპარტამენტს შემდეგი კუთხით: CRO მიმართულებით კომპანიების სიის მომზადება, სხვა ქვეყნებში საინვესტიციო შეღავათების შესახებ კანონმდებლობის მოძიება, MRO მიმართულებით საქართველოს პოტენციალის შეფასება და ა.შ.

JICA

- * დონორის მხარდაჭერით 2021 წელს სააგენტოს ინვესტიციებისა და მენარმეობის დეპარტამენტების თანამშრომლები გაივლიან JICA-ს ონლაინ სასწავლო კურსს.
- * JICA-ს მინი გრანტების პროგრამის ფარგლებში 2021 წელს მოხდება სააგენტოს მენარმეობის დეპარტამენტისთვის კომპიუტერების შეძენა.

დანართი 1

მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამა
(2015-2018) შედეგები

| რეგიონი | პროექტების რაოდენობა | ბენეფიციარების რაოდენობა | გაცემული თანხა (მლნ) |
|-------------------------------|----------------------|--------------------------|----------------------|
| აჭარა | 596 | 954 | 4.83 |
| გურია | 316 | 501 | 2.60 |
| იმერეთი | 870 | 1239 | 6.07 |
| კახეთი | 632 | 1130 | 5.62 |
| მცხეთა-მთიანეთი | 438 | 743 | 3.44 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 702 | 882 | 4.10 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 914 | 1358 | 7.03 |
| სამცხე-ჯავახეთი | 800 | 1074 | 5.70 |
| ქვემო ქართლი | 481 | 765 | 4.00 |
| შიდა ქართლი | 463 | 738 | 3.53 |
| სულ | 6212 | 9384 | 46.92 |

ინდუსტრიული მიმართულების შედეგები (საწარმოები 2014-2020)
რეგიონულ ტერიტორიაში

| რეგიონი | პროექტების რაოდენობა | სახსნის მოცულობა (მლნ) | სავარაუდო ინვესტიციის მოცულობა (მლნ) | დასაქმება |
|----------------------------|----------------------|------------------------|--------------------------------------|---------------|
| თბილისი | 338 | 385.4 | 610.4 | 8001 |
| ქვემო ქართლი | 45 | 72.9 | 107.4 | 4038 |
| მცხეთა-მთიანეთი | 33 | 54.4 | 112.9 | 744 |
| იმერეთი | 30 | 24.2 | 38.5 | 1298 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 29 | 65.2 | 80.0 | 2243 |
| აჭარა | 25 | 40.9 | 51.9 | 428 |
| კახეთი | 12 | 4.7 | 8.4 | 126 |
| შიდა ქართლი | 11 | 11.3 | 19.6 | 112 |
| გურია | 7 | 10.4 | 22.1 | 213 |
| სამცხე-ჯავახეთი | 6 | 4.6 | 5.9 | 72 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 3 | 2.8 | 3.5 | 32 |
| სულ | 539 | 676.8 | 1,060.7 | 17,307 |

**ინდუსტრიული მიმართულების შედეგები (საწარმოები 2014-2020)
სექტორულ ქრილში**


| სექტორი | პროექტების რაოდენობა | სესხის მოცულობა (მლნ) | სავარაუდო ინვესტიციის მოცულობა (მლნ) | დასაქმება |
|---|----------------------|-----------------------|--------------------------------------|---------------|
| სამშენებლო მასალები | 121 | 133.8 | 245.3 | 2063 |
| საკვები და სასმელი | 71 | 95.4 | 201.4 | 2349 |
| ქალაქი და შეფუთვა | 55 | 65.5 | 83.3 | 1010 |
| რემინის და ვლასტმასის ნაწარმის წარმოება | 54 | 60.1 | 71.8 | 695 |
| ლითონები | 51 | 96.4 | 131.4 | 1330 |
| ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება | 29 | 38.7 | 63.2 | 806 |
| ავიაციის წარმოება | 28 | 16.2 | 22.9 | 728 |
| ბექდვიტი წარმოება | 27 | 20.8 | 25.6 | 290 |
| ტანსაცმელი და ტექსტილი | 23 | 48.9 | 72.6 | 5929 |
| ჯანდაცვის საშენობები | 17 | 19.9 | 30.6 | 1014 |
| მინის წარმოება | 13 | 15.6 | 19.6 | 198 |
| პარ-ფანჯრების წარმოება | 11 | 10.7 | 13.9 | 245 |
| საზღვაო თევზჭერა | 11 | 36.8 | 38.0 | 161 |
| ხის გადამუშავება | 10 | 3.5 | 4.7 | 117 |
| სხვა წარმოება | 18 | 14.5 | 36.4 | 372 |
| სულ | 539 | 676.8 | 1,060.7 | 17,307 |

სანარმოების გადანაწილება სექტორულ და რეგიონულ ტრილში (2014-2020)

| სექტორი/რეგიონი | აზარა | გურია | თბილისი | იმერეთი | პაჩეთი | მცხეთა-მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-ვეფხისტყაველი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | გვერდამთი | შიდა ქართლი | სულ |
|--|-----------|----------|------------|-----------|-----------|-----------------|----------------------------|------------------------|-----------------|-----------|-------------|------------|
| სამშენებლო მასალები | 10 | 5 | 36 | 13 | 1 | 11 | 2 | 12 | 5 | 17 | 9 | 121 |
| საკვები და სასმელი | 2 | 1 | 45 | 4 | 4 | 10 | 1 | 3 | | 1 | | 71 |
| ქალღი და შემფუთვა | 2 | | 53 | | | | | | | | 2 | 55 |
| რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება | 2 | | 40 | 2 | 1 | 6 | | 1 | | | | 54 |
| ლითონები | 2 | | 32 | 6 | | | | | | 11 | | 51 |
| ფარმაცევტიკა და ქიმიური წარმოება | | | 19 | | 1 | 3 | | 1 | | 5 | | 29 |
| ავიატის წარმოება | 1 | | 21 | 2 | 1 | | | | | 3 | | 28 |
| ბეჭდვითი წარმოება | 1 | | 26 | | | | | | | | | 27 |
| თანაცემელი და ტექსტილი | | 1 | 14 | 2 | | 1 | | 2 | | 3 | | 23 |
| ჭანდაცვის საკმინობები | 1 | | 11 | | 3 | 1 | | | | 1 | | 17 |
| მინის წარმოება | | | 12 | | | | | | | 1 | | 13 |
| პარ-ფანტრების წარმოება | 1 | | 9 | | | | | | 1 | | | 11 |
| ხის გადამუშავება | | | 8 | 1 | 1 | | | | | | | 10 |
| საგლვარ თევზჭერა | 1 | | | | | | | 10 | | | | 11 |
| სხვა მზა ნაკეთობების წარმოება | 1 | | 4 | | | | | | | | | 5 |
| ელექტრული მოწყობილობების წარმოება | 1 | | 1 | | | 1 | | | | | | 3 |
| ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება | | | 3 | | | | | | | | | 3 |
| კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება | | | | | | | | | | 2 | | 2 |
| აირები | | | | | | | | | | 1 | | 1 |
| თამაშების წარმოება | | | 1 | | | | | | | | | 1 |
| თამბაქოს წარმოება | | | 1 | | | | | | | | | 1 |
| კერამიკის ნაწარმის წარმოება | | | 1 | | | | | | | | | 1 |
| სხვა საბრუნავო მოწყობილობების წარმოება | | | 1 | | | | | | | | | 1 |
| სულ | 25 | 7 | 338 | 30 | 12 | 33 | 3 | 29 | 6 | 45 | 11 | 539 |

სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების შედეგები (2016-2020)
რეგიონულ ტრილში

| რეგიონი | პროექტების რაოდენობა | სუხსის მოცულობა (მლნ) | ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა (მლნ) | აბსოლი სასტუმროს ნომრების რაოდენობა | დასაქმება |
|----------------------------|----------------------|-----------------------|--------------------------------------|-------------------------------------|--------------|
| კახეთი | 52 | 64.2 | 133.4 | 940 | 1,041 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 32 | 27.6 | 48.4 | 530 | 397 |
| მცხეთა-მთიანეთი | 27 | 32.4 | 80.5 | 632 | 561 |
| სამცხე-ჯავახეთი | 26 | 32.0 | 61.6 | 809 | 392 |
| იმერეთი | 21 | 18.3 | 23.1 | 330 | 331 |
| აჭარა | 16 | 27.8 | 60.9 | 663 | 549 |
| გურია | 13 | 13.0 | 27.5 | 369 | 331 |
| შიდა ქართლი | 5 | 8.3 | 23.8 | 185 | 138 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 1 | 0.5 | 0.7 | 18 | 12 |
| სულ | 193 | 224.1 | 459.9 | 4,476 | 3,752 |





აზაროთე საქართველოში

უზნაძის ქუჩა N18. თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: info@enterprise.gov.ge

სხელი ხაზი: 15 25

ტელ: + 995 32 296 00 10

enterprise.gov.ge